მშობლიური ენის საერთაშორისო დღე

21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღედ 1999 წელს გამოაცხადა იუნესკომ. ამ დღის დაწესებით კიდევ ერთხელ წინა პლანზე წამოიწია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალენოვნების ხელშეწყობის საკითხმა, რადგან ენათა სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ჩვენს გლობალიზებულ მსოფლიოში.

21 თებერვალს საქართველო 2005 წლიდან აღნიშნავს. ჩვენი სახელმწიფო ყოველთვის იყო მრავალენოვანი ქვეყანა და აქ დაუბრკოლებლად მეტყველებდნენ მაცხოვრებლები თავიანთ მშობლიურ ენაზე. ახლაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი, რომ ენობრივმა უმცირესობებმა მიიღონ განათლება თავიანთ ენებზე და იმავდროულად სრულფასოვანად ჩაერთონ ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმწიფო ენის ცოდნით. საზოგადოებრივი მაუწყებლობა ამჟამად საქართველოში შვიდ ენაზე მიმდინარეობს. ამას გარდა, რამდენიმე ენაზე მუშაობს ბეჭდური და ელექტრომედია.

2018 წლის 21 თებერვალს მშობლიური ენის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სახელმწიფო ენის დეპარტამენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად მართავს საზეიმო მიღებას, რითაც გამოხატავს პატივისცემას საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრების მშობლიური ენების მიმართ.

საზეიმო მიღება გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 21 თებერვალს 16.00 სთ-ზე. მიღების დროს მოწვეული სტუმრები დაათვალიერებენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და უნივერსიტეტის მუზეუმის ერთობლივ გამოფენას, რომელიც აჩვენებს საქართველოს ენობრივ მრავალფეროვნებას როგორც ისტორიულად, ისე დღეს და უნივერსიტეტში ენათა სასწავლო კურსების სიმრავლეს უნივერსიტეტის შექმნის დღიდან. საზეიმო მიღებაზე მოწვეულნი არიან საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები, ენობრივ უმცირესობათა ორგანიზაციები და დიპლომატები.